

## მზია მიქელაძე (1961-2012)



კავკასიის უნივერსიტეტის და კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და სკოლის პირველი დეკანის, უმაღლესი დონის პროფესიონალის, მრავალმხრივ განათლებული და ნოვატორი პიროვნების - პროფესორ მზია მიქელაძის სახელს.

მზია მიქელაძემ 1982 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტი და სწავლა ქ. მოსკოვში, მეცნიერებათა აკადემიის პრობლემების მართვის ინსტიტუტის ასპირანტურაში განაგრძო, სადაც საინფორმაციო ტექნოლოგიების მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. მას შემდეგ, მან, მუშაობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი ტექნიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ფაკულტეტზე განაგრძო. 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში მიმდინარე ცვლილებებიდან გამომდინარე, მისი ინტერესის ცენტრში სახელმწიფოს მართვისა და მენეჯმენტის საკითხები მოექცა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მას, 1995 წელს,

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) წარჩინებით დაემთავრებინა და სახელმწიფო მართვის მაგისტრის ხარისხი მინიჭებოდა.

განსაკუთრებულია მზია მიქელაძის წვლილი კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების საქმეში. იგი იყო იმ წინასწარ შერჩეულ ქართველ სპეციალისტებს შორის, რომლებმაც 1998 წელს, ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) მაკ რობინსონის სახელობის ბიზნესის სკოლაში გადამზადების კურსები გაიარეს. მან და მისმა კოლეგებმა, მიღებული გამოცდილებით, საქართველოში იმუშავე დაარსებული - კავკასიის ბიზნესის სკოლაში, თანამედროვე პედაგოგიური და კვლევითი მიდგომები დანერგეს. კავკასიის ბიზნესის სკოლა არაერთმა სტუდენტმა წარჩინებით დაასრულა, რაშიც მზია მიქელაძის დამსახურება უაღრესად დიდია. მზიას თაოსნობით, კავკასიის უნივერსიტეტმა არაერთი ინოვაცია განახორციელა, მათ შორის კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის დაარსება - უმთავრესია. მნიშვნელოვანია გავლენა, რაც საქართველოს სახელმწიფოს მართვაში პროფესორ მზია მიქელაძის თაოსნობით საფუძველდადებულმა მაღალი დონის სტანდარტებმა და ღირსეულმა ტრადიციებმა იქონიეს.

მზია მიქელაძე ეკუთვნოდა ენთუზიასტთა იმ რიცხვს, რომელიც სხვადასხვა სფეროში დაგროვილი გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების, შემდგომ კი სამშობლოში დანერგვის მიზნით, საქართველოს დამოუკიდებლობის აისიდან მოყოლებული, განათლებულ მსოფლიოსა და მის ინსტიტუციებთან კავშირებს ამყარებდა. თავის პროფესიულ საქმიანობაში მან წარმატებით გამოიყენა არაერთ აკადემიურ ფორუმზე - სინაიაში (რუმინეთი), ბელფასტში (დიდი ბრიტანეთი), ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში

(ბუდაპეშტი, უნგრეთი), ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკრობინსონის ბიზნესის სკოლაში (ატლანტა, აშშ), პენსილვანიისა და ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტებში (აშშ) მიღებული ცოდნა. მაღალი მიზნებით გამსჭვალული, საქართველოს საჯარო სექტორში, ესოდენ საჭირო რეფორმების გატარებას ემსახურებოდა, რის გამოც აქტიურად იყო ჩართული, მსოფლიო ბანკის, USAID-ისა და სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერილ, მთელ რიგ საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში.

მრავალფეროვანი იყო პროფესორ მზია მიქელაძის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა. სხვადასხვა დროს, იგი, მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის პრობლემათა ინსტიტუტში, საქართველოში სახელმწიფო მართვის მოხელეთა გადამზადების სკოლაში (PACT - Public Administrative Collage of TACIS), იყო საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სახელმწიფო მმართველობის სკოლის დამაარსებელი და დეკანი, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია - ურბანული ინსტიტუტის სამოქალაქო განათლების, ახალგაზრდობის და გენდერული პროგრამების ხელმძღვანელი, ქ. ქუთაისში სახელმწიფო მართვის სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი და მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მსოფლიო ბანკის ინიციატივით შექმნილი, საერთაშორისო ეკონომიკური სკოლის (ISET) დამაარსებელი და ადმინისტრაციული დირექტორი. პარალელურად, ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრში (CTC) მოღვაწეობდა, იყო ამ ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრი.

პროფესორი მზია მიქელაძე გახლდათ საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ასევე

სხვადასხვა პროფესიული გაერთიანების წევრი. 2001-2004 წლებში მზია მიქელაძე იყო NISPACEE-ის (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტებისა და სკოლების საჯარო ადმინისტრირების ქსელის) მმართველი კომიტეტის წევრი, ხელახლა იქნა არჩეული კომიტეტის წევრად 2006 და 2009 წლებში. ორჯერ ეკავა NISPACEE-ის პრეზიდენტის თანამდებობა, რაც ამ ორგანიზაციის წევრებს შორის მის უდაო აღიარებაზე მეტყველებს. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ამ ორგანიზაციის განვითარებასა და მის აღიარებაში არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სახელმწიფო მართვის განათლებაში შეტანილი წვლილისათვის, NISPACEE-ს მმართველმა კომიტეტმა მზიას „ალიონა ბრუნოვსკას ჯილდო“ მიანიჭა.

გულდასაწყვეტია, რომ ასეთი გამორჩეული პიროვნება, დღეს, ჩვენს გვერდით აღარ არის. მზია მიქელაძე 2012 წლის 20 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა. „საქართველომ და საერთაშორისო საზოგადოებამ დაკარგა არაჩვეულებრივი პიროვნება, რომელმაც თავისი სიცოცხლე მიუძღვნა იმას, რომ მსოფლიო უკეთესი გამხდარიყო. იგი იყო არა მხოლოდ სამაგალითო ადამიანი და შეუცვლელი პროფესიონალი, არამედ ღია, მხიარული და მეგობრული პიროვნება“ ამ სიტყვებით გამოეხმაურა მას NISPACEE, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტებისა და სკოლების საჯარო ადმინისტრირების ქსელი.

საქართველოს აკადემიურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, რადგან მზია მიქელაძეს ბევრი საშური საქმის გაკეთება შეეძლო. საიმედოდ მხოლოდ ის გვრჩება, რომ მისი საქმის გამგრძელებლები მისი სტუდენტები, კურსდამთავრებულები, კოლეგები და მეგობრები არიან.

მზია მიქელაძეს ღრმად სწამდა, რომ „ნებისმიერი მიზნის მიღწევითვის ზრდილი სითამამის გამოჩენა და ღირსების საზღვრებში მაქსიმალური შესაძლებლობების გამოყენებაა საჭირო“.

NISPACEE-სა და ISET-ის მიერ, საუკეთესო სადოქტორო ნაშრომისა და წარმატებული სტუდენტისთვის, მზია მიქელაძის სახელობითი ჯილდოებია დაწესებული.

და ბოლოს, გვინდა ერთი სახებით დავასრულოთ:

მზია მიქელაძეს ხელოვნურად აჩქარებულ ცხოვრების რიტმში ღრმა, და იმავდროულად ფართო აზრის მნიშვნელი შემოაქვს. მას არსად ეჩქარება, მშვიდი, დამაჯერებელი მზერით და არისტოკრატიზმით ავრცელებს მსახურებას. ამიტომაც არავის უკვირს მისი ზეპირი თუ წერილობითი ბარათები - კოლეგების პროფესიული აღიარებისა და კეთილსინდისიერებისადმი გამოხატული მადლიერება. ყოველ დღე, ყველა საქმეში კვდება, ბოლომდე იხარჯება, და ერთი შეხედვით თითქოს ეული და იდუმალი, გონების სამყაროსკენ გიკვალავს ბილიკს. იქ, საიდანაც სამშობლო იწყება. ხვდები, რომ ის, რაც წუთისოფელში მოუხელთებელია - გონში მარადიულად სუფევს.

## **Mzia Mikeladze**

**(1961-2012)**

The history of Caucasus University and Caucasus School of Governance is closely linked with the name of Professor Mzia Mikeladze, one of the founders of the University and the first Dean of the School, a high-level professional and multi-faceted, innovative person.

Ms. Mzia Mikeladze graduated from the Faculty of Computational Techniques and Information Technologies of Georgian Polytechnic Institute in 1982; she pursued her education in Moscow at the Institute of Problems Management at the Academy of Sciences, where she was awarded PhD in IT. After graduating, she started working at Georgian Technical University in the field of Computing Techniques and Information Technologies. In the early 1990s, due to the ongoing changes in Georgia, her interests narrowed down to state governance. These changes prompted her to enroll at the Institute of Public Affairs (GIPA) in 1995, after successful completion of which she was awarded Master of Governance.

Dr. Mikeladze's contribution to the establishment and development of Caucasus University is special. She was among the pre-selected Georgian specialists who in 1998 were sent on training courses to Mack Robinson Business School at Georgia State University (Atlanta, USA).

She and her colleagues established the up-to-date pedagogical and research approaches used in the newly founded Caucasus School of Business. Many students of Caucasus School of Business graduated with great honors and are successful business leaders in whose professional success great is the merit of Ms. Mikeladze.

Under the leadership of Ms. Mikeladze, CU conducted many innovations, among which establishment of Caucasus School of Governance is one of the most significant. It is important to note that the foundation of the high standards and worthy traditions in Georgian State Governance were laid by Ms. Mikeladze

Mzia Mikeladze was one of the few enthusiasts who shared their accumulated knowledge, experience and expertise in different fields with others to help their homeland establish connections with different institutions around the globe. She successfully used her professional career in more than one academic forums – knowledge from Sanaia (Romania), Belfast (Great Britain), European Central University (Budapest, Hungary), Mack Robinson Business School of Georgia State University (Atlanta, USA), Pennsylvania and George Mason University (USA). She was highly motivated and proceeded to make necessary public reforms in the public sector of Georgia, which was why she was actively involved in implementing a number of international projects supported by the World Bank, USAID and other organizations.

Professor Mzia Mikeladze's scientific and academic activities were diverse. At various times, she worked at Georgian Technical University in the USSR Institute of Scientific Academic Problems, PACT - Public Administration Collage of TACIS; she was the founder and the Dean

of the Institute of Public Affairs (GIPA), Program Director of an American Non-governmental organization –Urban Institute of Civil Education, Youth and Gender, one of the founders of the state management school in Kutaisi and the chairman of the Board of its Governors;

Ms. Mzia Mikeladze was a founder and the Administrative Director of the International School of Economics (ISET), set up at the initiative of the World Bank at Tbilisi State University. At the same time, she worked in the Center for Training and Consultancy (CTC) as a member of the Organizational Board.

Professor Mzia Mikeladze was the author of many scientific works published in Georgia and abroad, as well as a member of various professional unions. In 2001-2004 Mzia Mikeladze was a member of NISPAcee (Public Administration Network of the Central and Eastern European Institutes and Schools Public Administration Network), was re-elected as a member of the Committee in 2006 and 2009. She served two terms as NISPAcee president, indicating her undeniable recognition among the members of this organization. Her contribution to the development and recognition of this organization is invaluable not only in Europe but also worldwide. The NISPAcee Managing Committee awarded Mzia "Aliona Brunovska Award" for her singular contribution to the education in state governance in Central and Eastern Europe.

It is disappointing that such a distinct person is no longer with us today. Mzia Mikeladze passed away suddenly and prematurely on January 20, 2012. "Georgia and the international community have lost an extraordinary person who devoted her life to the idea of making the



world a better place to live. She was not only an exemplary and irreplaceable professional, but an open, joyful and friendly person“ – this is what NISPAcee, the Network of Institutes and Schools of Public Administration in Central and Eastern Europe, said about her.

The academic community of Georgia suffered a severe loss because Mzia Mikeladze could have done a lot more and achieved far greater success. Thankfully we still continue on with her students, graduates, colleagues and friends. Mzia Mikeladze was deeply convinced that "show of confidence and the use of your maximum abilities in the frames of bravery is necessary for achieving your goals"

NISPAcee and ISET will award the best doctoral thesis and successful students with Mzia Mikeladze's awards.

Finally, we would like to complete this by saying:

Mzia Mikeladze introduces a deep, and at the same time, wide range of ideas in the rhythm of an artificially accelerated life. She does not hurry, she continues to serve quietly, with a convincing gaze, and an aristocratic stance. That is why nobody is surprised by her oral or written messages – the expression of appreciation of professional recognition and good faith from her colleagues. Every day, she gives herself over to anything she does, and lonely and mysterious at a glance leads a way to the worlds of the mind, where the homeland begins. You realize that something transient in this world can become eternal in mind.